# ბორჯი

"თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველას!"

მამული ენა სარწმუნოება · ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

№ 1, 1990 წლის 29 იანვარი

წალენჯიხა


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბორჯი სიკეთისა

ძველკოლხური სიტყვაა ბორჯი და დრო-ჟამს ნიშნავს, დრო-ჟამი ხომ დაუსაბამოა და უსასრულო. დროც დროის გამკითხავია. ამიტომაც "ბორჯი" დავანათლეთ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების რაიონული განყოფილების გაზეთს. ასეთი სახელდება იმანაც გვაფიქრებინა, რომ ხალხური ფილოსოფიური ლირიკის შედევრად მიჩნეული "ბორჯის" ავტორიც წალენჯიხელი კაცია.

ამგვარი სახელწოდების გაზეთს იმდენად აქვს არსებობის უფლება, რამდენადაც იგი შეურიგებლად იბრძოლებს დროის უკუღმართობით წარმოშობილი იმ დიდი ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც ჩვენში არსებობს ტოტალიტარული სახელმწიფო რეჟიმის სახით. აღნიშნული ბოროტება უკუქცეული როდია, იგი შერყეულია მხოლოდ. თუმცა ქამელეონივით ფერს იცვლის, არსებითად კი ისევ ტირანული წესის დამცველია. ბოროტების თვისებაა ასეთი, იგი ბოლომდე შეეცდება არ დათმოს პოზიცია, თუნდაც ასეულობით ადამიანის მსხვერპლად დაუჯდეს არსებობის შენარჩუნება. ამის ნაგალითად გამოდგება რუმინეთში დატრიალებული ტრაგედია. თბილისის 9 აპრილის ტრაგედიაც მსგავს ხასიათს ატარებდა, აგრეთვე საბჭოთა ჯარების მიერ ბაქოში ჩადენილი მხეცობა.

ჩვენი გაზეთის უპირველესი მიზანია, ხელი შეუწყოს ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებას რაიონში. ჩვენი საბოლოო მიზანი კი, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაა. გაზეთი ყოველგვარი შელამაზების გარეშე შეეცდება ასახოს წალენჯიხის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება, შეუპოვარი პირდაპირობით თქვას სიმართლე, რომელიც საბჭოური სიყალბე-სიცრუის გაბატონების გამო ჯერხნობით ცხრაკლიტულში მომწყვდეული. გაზეთი ასევე შეურიგებელი იქნება ეროვნული მოძრაობის გზაზე ყოველგვარი მოჩვენებითობისა და თვალთმაქცობის მცდელობის მიმართ.

ჩვენი გაზეთი თავს არავის დაესხმის, ასეთი რამ ავაზაკთა წესია, მაგრამ უთუოდ უკომპრომისო იქნება იმათი მისამართით, ვინც დრომოჭმულ, ყალბ იდეებს რაღაცნაირ გამართლებით ებღაუჭება, იმ იდეებს, რომელმაც ჩვენი ქრისტიანული ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიიყვანა.

დიდი ილია გრძანებს: "თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა". თავისუფლებისათვის ბრძოლის გზა ია-ვარდით მოფენილი როდია. ამიერიდან გაზეთი "ბორჯი" სრულიად საქართველოს ეროვნული სულისკვეთების გაზეთების მხარდამხარ იბრძოლებს სანუკვარი მიზნის განხორციელებისათვის, რომელსაც სამშობლო ქვეყნის თავისუფლება ჰქვია.

წავიდა, ასპიტივით წალასლასდა წელი. შარშანდელი, მაგრამ განა ოდენ გასული წელი იყო გველისა. 1921 წლიდან მთელ საქართველოში გავეშებული დრაკონის დრო-ჟამი დგას და ამ ხნის მანძილზე მსხვერპლიც დიდძალი შეიწირა გველეშაპმა...

შემოაბიჯა ცხენის წელიწადმა და რაღაცნაირად ნიშანდობლივია, რომ ამას დაემთხვა გაზეთ "ბორჯის" დაბადება წალენჯიხაში, ამ უძველეს ლაკადურ მიწაზე. ცხენი ხომ სიკეთის სიმბოლოა, მით უფრო, რომ თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი მობრძანდება, რათა პირბასრი შუბით განგმიროს ავად აღრენილი ურჩხული...

დაე, ჩვენს გაზეთს ეთქვას მართალი სიტყვა, ქვეყანაში ბოროტების დამხობისა და სიკეთე-სათნოების დასამკვიდრებლად.

## ბედნიერი და მშვიდობიანი ყოფილიყოს

ძველით ახალი წლის მობრძანებით უკანასკნელი დღეებიც ჩაიფურცლა ჩვენს მეხსიერებაში 1989 წლისა და თითქოს შვებით ამოვისუნთქეთ, რადგან უკან დარჩა ტკივილითა და ტრაგედიებით აღსავსე წელი. წელი უამრავ პრობლემათა გადაწყვეტისათვის უილბლო ბრძოლისა, ბევრი ჩანაფიქრის განუხორციელებლობისა... ცრემლი გვადინა მტერმაც და "მოყვარემაც", არც ბუნებამ დაგვინდო... დიახ, 1989 წელმა ჯვარცმული საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი ცრემლიანი ფურცელი ჩაწერა.

ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ვაცნობიერებთ სინამდვილეს; ჯერ კიდევ ბევრ რამეზე არ დავფიქრებულვართ და ვითარცა ლერწამი ქარში, ისე ვირხევით...

ჯერ კიდევ უჭირს სიმართლეს; ჯერ კიდევ ყველაფრისთვის თავისი სახელი არ დაგვირქმევია, რადგან გონიერებას სჭარბობს ემოციურობა.

დიახ, ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ამიტომაც, როგორც არასდროს, ახლა გვჭირდება გონება, შრომა და სწავლა, რწმენა და შეკავშირება, დიდი ნებისყოფა და მოთმინება, ურთიერთსიყვარული, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა...

ჩვენ გთხოვდით ყველას: ვილოცოთ ერთმანეთისთვის, ჩვენი ერის მომავლისთვის!

არ დავიშუროთ წრფელი ღიმილი, გულის სითბო და კეთილი სიტყვა.

ბედნიერი და მშვიდობიანი ყოფილიყოს ეს წელიწადი სრულიად საქართველოსთვის!

შეგვეწიოს წმინდა სვიმონ ახალი ღვთისმეტყველის ლოცვა:

მოდი, ნათელო, ჭეშმარიტო, მოდი, ცხოვრებაო საუკუნოო. მოდი, საიდუმლოო, დაფარულო მოდი, საუნჯეო, სახელდაუდებელო. მოდი, საგანო გამოუთქმელო. მოდი, ხატო განუჭვრეტელო. მოდი, სიხარულო, განუწყვეტელო. მოდი, იმედო გადამრჩენელო. მოდი, აღდგომაო განსვენებულთაო. მოდი, ძლიერო!

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების
წალენჯიხის განყოფილების გამგეობა

## ლოცვა მამულზე

წმინდაო ღმერთო! უზენაესო და გამგებელო ყოველთა! გევედრებით მუხლმოყრილნი წინაშე შენსა, რამეთუ შენ მფარველობ ნებითა შენითა ქვეყანას ღვთისმშობლის წილხვედომილსა. ჩვენ, შვილნი ამა მიწისაი, გაჩენილნი ნებითა შენითა, სჯულითა ქრისტიანნი, ვფიცავთ უწმინდესსა სახელსა შენსა და გევაჯებით, რათა კვლავაცა მისცე გამარჯვებაი ჩვენთა ხორცთა და სისხლთა, სულთა შენგან შთაბერილსა, ამერთა და იმერთა, და მოჰფინო კვლავაცა დიდებაი ჩვენსა ქვეყანასა ზედა.

მოვედით აქა, ადგილსა წმინდასა, შენგანვე ბოძებულსა, ერთგულნი ქვეყნისა და შენი სიდიდისა, რათა გთხოვოთ სათხოვარი ჩვენი: ადიდო და აძლიერო ჯილაგი ქართველთა რამეთუ ის არს ღირსი გამარჯვებისა და სიხარულისა.

მამაზეციერო, ძლიერო და სამართლიანო, დასაბამიდან ათას ჭირვარამგამოვლილსა ქართველსა მიეც კვლავაცა სიმხნე და სიძლიერე ბრძოლისა და მტერთა მისისა დათრგუნვისა. გზაი მიეც მისსა ზეგარდმო ნიჭსა, ძალა-მუხლსა და მკლავსა, ამრავლე და ადიდე ლომივით ჭაბუკნი და მზეებრ ქალწულნი ღვთისწილხვდომილ ქვეყანასა ზედა. კერას მისსა ცეცხლი შეუგზნე მარადისი, ვაზი აყვავილე და ახარე მისი. ნუ მოაკლებ ჭირისუფალსა, მეგუთნესა და მეზვრესა, მჭედელსა და მწიგნობარსა, მოწყალესა და მოზარესა.

ღმერთო ძლიერო და მეუფეო, საიმედო მფარველო ქვეყნისა, კაცთა მიწიერთა უნებლიე ცოდვათა მიმტევებელო, მიეც შემართება სულთა ჩვენთა სისხლსა და ხორცთა ჩვენთა, მიეც ნიჭი ერთ მუშტად შეკვრისა, მიეც ნიჭი ერთმანეთის გატანისა, მიეც ნიჭი მტრისა და მოყვრის გარჩევისა.

წმინდაო, ღმერთო! ისმინე ვედრებაი ჩვენი; დაიცავი ყოველთა უწმინდურთა და ურჯულოთგან, ყოველთა ავთა თვალთაგან ქვეყანაი ჩვენი, სული ჩვენი, ენა ჩვენი, ვაზი ჩვენი, სიცოცხლე ჩვენი, მომავალი ჩვენი. ყოველსა ბოროტებასა გადაუკეტე ყოველი სავალი გზაი, წყეულიმც ჰყავ ყველა მოღალატე ქვეყნისა ჩვენისა, სიტყვისა ჩვენისა, საქმისა ჩვენისა, სჯულისა ჩვენისა, სულისა ჩვენისცა. ამინ!

წალენჯიხის ქრისტიანთა სახელით რ. კოლხი

**ზ უ რ ა ბ  ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე**

## ფიქრებში მუდამ ცოცხლად დარჩები!

გაზაფხულის დღეს ჰგავდა ის დღე, როცა შენი გაცრებული სხეული ვიხილე, იების კონები ამშვენებდა შენს ცხედარს. მიძინებულივით იყავი. სიზმარში მეგონა ჩემი თავი, გაფიქრებაც კი არ მინდოდა იმაზე, რომ შენ უკვე აღარ იყავი. გიყურებდი და არ მჯეროდა. ძალიან ძნელი გახდა დამერწმუნებინა თავი, რომ არც შენა ხარ და არც ჩვენი ვოვა. უკვე მერამდენე თვე გავიდა ვოვას სიკვდილიდან, ისევ სოხუმში მგონია რატომღაც... უკანასკნელ ჟამს ხომ მაინც საოცარი სურვილით გელოდით შენ და თამარს, არ იქნა და ვერ მოახერხეთ ჩამოსვლა, რამდენიმეჯერაც გადავწყვიტეთ, ყოველთვის რაღაც ხელს გიშლიდათ. როგორ ოცნებობდი თავისუფალ საქართველოზე. ერთად მოვიარეთ სვანეთი. დამწუხრებული გაჰყურებდი ულვთოდ გაჩანაგებულ ენგურის ხეობას. სვანეთიდან მობრუნებული ჩვენთან იყავით, გვიან ღამემდე ვსაუბრობდით. ტკივილამდე განიცდიდი საქართველოს ბედს. მაღალი ინტელექტუალობა ფარავდა ამ ტკივილს. თავდახრილი გისმენდა ვოვა, სევდიანი თვალებით გპასუხობდა, ჩვეული სიდინჯით...

... თურმე რა ბედნიერები ვყოფილვართ მაშინ, ყველა ერთად ვიყავით წალენჯიხელებიც, სოხუმელებიც, თბილისელებიც და მეგობრულ სითბოს ვუნაწილებდით ერთმანეთს გვიან ღამემდე. იმ ბედნიერ საღამოს ილია მოიგონე, ზურაბ, შენი დიდი წინაპარი... წალენჯიხას დიდი ტრადიციები აქვსო, თქვი. იაკობ შანავა და ტერენტი გრანელიც ახსენე. გიხაროდა, ამ პატარა მხარეში გრანელის სული ისევ ცოცხლობსო...

... მაინც როგორი უბედურებით გაიარა ამ წელმა საქართველოს თავზე. რამდენი წმინდა სიცოცხლე წარგვტაცა ავბედითობამ. რჩეული ვაჟკაცები დაკარგა ერმა, სამი სიცოცხლე წაიღო დაუნდობელმა სიკვდილმა: ვოვას, სოსოს და მერაბის სიცოცხლე... ღმერთო გვაკმარეო! – შევთხოვდით უფალს, მაგრამ ასე ინება განგებამ. ეტყობა, შენი სულიც უნდა შეერთებოდა იმ სამი წმინდა ადამიანის სულს ზეციურ საქართველოში...

... შარშან შენს ოჯახში შევხვდით ძველით ახალწელს, ბევრი ვისაუბრეთ. ბევრი ტკივილი გამოხატე, იტანჯებოდი უსამართლობისა და ტკივილებისაგან. საქართველოს ბედზე მწარედ იყავი დაფიქრებული. მომავალი ახალი წელი თავისუფალ საქართველოში გვეხილოსო, ინატრე. ვაი, რომ ეს ნატვრა აუხდენელი დაგრჩა. გამწარებული დატოვე მეუღლე, შვილები, დედა, ერთადერთი და, მამა, ბატონი ნიკო ჭავჭავაძე, უთქმელი და კეთილშობილი ადამიანი, რომელიც მუდამ გვერდში უდგას ჩვენს საზოგადოებას, მის ტკივილსა და სიხარულს ერთნაირად ინაწილებს; ასეთი ყოფილა თურმე ბედისწერა, რომელსაც კაცი ვერსად გაექცევა... რაღა დაგვრჩენია იმაზე მეტი, რომ ყოველდღიურ მოგონებებად და ფიქრებად იქცევი. შენ ნამდვილი ტკივილი ხარ თითოეული ჩვენთაგანისთვის და გჯეროდეს ეს ტკივილი არასოდეს განელდება, არც მაშინ, როცა შენს ნანატრ



თავისუფალ საქართველოში მოგვიწევს ცხოვრება. შენ მარადიულ სიცოცხლედ დარჩები ჩვენს გულებში. ცოცხლად გიგულებთ. თბილისშიაო, ვიტყვით, ან ყვარელში, საგვარეულო საფლავების მისახედად წასული იქნებაო, ან აფხაზეთში და სამაჩაბლოში არისო, თავს ამით მოვიტყუებთ, შენს მოლოდინში ვიქნებით. ფიქრებში ჩვენს გვერდით დამკვიდრდები სამუდამოდ. კვირის წირვებზე ცოცხლად მოგიხსენებთ წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარში. იებსაც დაგიკრეფთ ყოველ გაზაფხულზე და შენს საფლავზე მივიტანთ. იქ მარადიულ საუფლოში ილიას სულთან უფრო ახლოს იქნები...

იძინე, ზურაბ, მშვიდად იძინე, ძმაო, და განისვენე შენი წინაპრების წმინდა სულებთან...

და თუ მთლად არ გაგვწირავს განგება, თუ ოდესმე ასრულდება სანუკვარი ნატვრა, რისთვისაც ასე დაულალავად იღვწოდი, შენს საფლავთან მოვალთ, დავიჩოქებთ და გეტყვით, რომ ასრულდა უზენაესი სურვილი შენი...

მშვიდობით, ძმაო, მწარე ტკივილო! თავს იმით ვინუგეშებ, უფალს შევთხოვო: "მოგანიჭოს მშვიდობაი, აღგავსოს ყოველითა კეთილითა, რამეთუ სახიერ-არს და კაცთმოყვარე, ამინ!"

მარინე შანავა

26.12.89

1989 წლის პირველი მარტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში დაღუპულთა სია

| | გვარი, სახელი მამის სახელი | დაბადების წელი | საცხოვრებელი ადგილი | სად გადიოდა სამსახურს | სიკვდილის მიზეზის ოფიციალური ვერსია |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | ხარაბაძე მამუკა ვლადიმერის-ძე | 1970 | ქ. თბილისი, პირველი მაისის რ-ნი | შუა აზიის სამხედრო ოლქი, სამხედრო ნაწილი 15203 | ნაწილში მორიგეობის დროს დაცხრილა თანამოსამსახურემ |
| 2 | გოგავა გიორგი თამაზის-ძე | 1969 | | შუა აზიის სამხედრო ოლქი, ქ.ლენინსკი ს/ნ 54695 | დაიხრჩო ლებინების დროს ნასვამ მდგომარეობაში |
| 3 | ძინძიბაძე გელა იუზას-ძე | 1970 | საჩხერე | ს/ნ 58179 ქ.ხელვაჩაური | დაიხრჩო ბანაობის დროს |
| 4 | მიქაელიანი სანველ სერგოს-ძე | 1969 | ქ.თბილისი კიროვის რ-ნი | ზღვისპირეთის მხარე, ს.ჩუგუევკა, ს/ნ 36781 | დაილუპა ბენზინის ორთქლით მოწამვლისაგან. გვამი იპოვეს მეორე დღეს ჭურჭელში |
| 5 | ამირიანი კარიმ მირზას-ძე | 1970 | ქ.თბილისი ოქტომბრის რ-ნი | შორეულ აღმოსავლეთ სამხედრო ოლქი ს/ნ 33806 | თავი ჩამოიხრჩო |
| 6 | ფილია ზაზა მურმანის-ძე | 1970 | ქ.თბილისი ოქტომბრის რ-ნი | ამიერკავკასიის ს/ო ს/ნ 15513 | დაილუპა შემთხვევით გასროლით ყარაულში ყოფნის დროს |
| 7 | შოშიაშვილი გენადი გაიოზის-ძე | 1969 | ქ. გორი | შუა აზიის ს/ო, ქ.ლენინსკი, ს/ნ 77081 | ასფიქსია სუნთქვის შეკვრისაგან |
| 8 | ხეხელაშვილი გონდო ზურაბის-ძე | 1970 | დუშეთი | ბელორუსიის ს/ო, ს/ნ 31 649 | დაილუპა დიფტერიისაგან |
| 9 | კაპანაძე ზაზა ოლეგის-ძე | 1970 | ქ.ზესტაფონი | თურქესტანის ს/ო ქ. ნუკუსი ყარა-ყალპაკეთის ასს | დაილუპა ავტოკატასტროფაში |
| 10 | ლილაძე რომანი დიმიტრის-ძე | 1968 | ქ.ზესტაფონი | ს/ნ647285 | დაილუპა გულის დაავადებით, ჰაერის უკმარისობით |
| 11 | სიმონია გელა არტავაზის-ძე | 1969 | ქ.ზუგდიდი | ქ.ლიალი ს/ნ 16785 | დაილუპა დიფტერიისაგან |
| 12 | სამუშია ჯონი გიგლას-ძე | 1970 | ქ.ზუგდიდი | ქ. ლიალი ს/ნ 16785 | დაილუპა დიფტერიისაგან |
| 13 | ხარაზიშვილი ავთანდილ მიხეილის-ძე | 1970 | ქარელი | ს/ნ640764 ЦГВ(61026) | თავი ჩამოიხრჩო |
| 14 | ნაფარიშვილი დავით შოთას-ძე | 1970 | კასპი | სამხედრო სამშენებლო რაზმი ქ.მოსკოვი | დაილუპა ფილტვების ანთებისაგან |
| 15 | ჯანიაშვილი ალექსი სიმონის-ძე | 1970 | ქ.კასპი | შუა აზიის ს/ო ქ.ლენინსკი ს/ნ 54695 | დაილუპა თირკმელების უკმარისობისაგან |
| 16 | ჩანჩიბაძე ტარიელ გენადის-ძე | 1971 | ოზურგეთი | ქ.ვლადიმირი ს/ნ 08399 | დაილუპა ტვინში სისხლის ჩაქცევით |
| 17 | წულეისკირი ემზარ ანზორის-ძე | 1969 | ხობი | ПП 35872 | დაილუპა ავტოკატასტროფაში |
| 18 | კოზლოვი იური ვიაჩესლავის-ძე | 1969 | სოხუმი | | დაილუპა ღვიძლის ცეროზით |
| 19 | კირთავა რევაზი რაჟდენის-ძე | 1970 | გაგრა | ქ.ჩელიაბინსკი ს/ნ 11396 | დაილუპა სარკინიგზო კატასტროფაში |
| 20 | ბუხნიკაშვილი ნოდარ ოთარის-ძე | 1969 | გაგრა | ჩრდილოეთის ფლოტი | დაილუპა წყალქვეშა ნავში |
| 21 | ჩიკვაიძე გიზო დავითის-ძე | 1968 | გუდაუთა | ქ.ასტრახანი | დაცხრილა თანამოსამსახურემ ყარაულის განაწილების დროს |
| 22 | მოისეევი ალექსი ფიოდორის-ძე | 1968 | გუდაუთა | ქ.ლაზოვაია | თავი მოიკლა |
| 23 | მელაძე რევაზი ნურის-ძე | 1969 | ხულოს რ-ნი | ს/ნ 55457 | დაცხრილა თანამოსამსახურემ |
| 24 | მუტკარაძე ელდარ მუჰამედის-ძე | 1970 | ქობულეთი | ქ. ჩიტა ს/ნ 26333 | გასრისა ტანკმა |
| 25 | მახარაძე ჯუმბერ ენვერის-ძე | 1969 | ხელვაჩაურის რ-ნი | ქ.ჩუგუევი ს/ნ 42084 | იწვა ბალახში ავტომანქანის მიერ გაჭყლეტილი |
| 26 | ალიევი ნიზამი სიაით-ოღლის-ძე | 1970 | გარდაბანი | ს/ნ 7400 ქ.პიატიგორსკი | გასრესილია მანქანის მიერ ავტოსადგომში |
| 26 | ისმაილოვი ტოფიკ მაგომედ-ოღლი | 1967 | გარდაბანი | ქ. ყირიმი ს/ნ 1911 | გასრისა მანქანამ |
| 27 | გუდაძე გენადი როსტომის-ძე | 1970 | ქ. გორი | ქ.არტემოვსკი ს/ნ 64830 | დაიხრჩო ბანაობის დროს, ვისთან ერთადაც ბანაობდა დაპატიმრებულია |
| 28 | გაფრინდაშვილი გელა გიორგის-ძე | 1970 | | ქ.დუშანბე ს/ნ 93236 | დაიხრჩო ბანაობის დროს |
| 29 | ართმელაძე რუბენ ჯემალის-ძე | 1969 | ჩოხატაური | ქ.ლენინსკი ს/ნ 49631 | დაილუპა ცემის შედეგად ჰაუპვახტში |

ამჟამად ჩამოსვენებულ ჯარისკაცთა რიცხვი [illegible]

ქართველებისადმი ველიკორუსული შოვინიზმისაგან აღძრული მიზნის უკეთეს მაგალითს ვერსად ვნახავთ. შეიძლება კი ამის შემდეგ ქართველებმა იმსახურონ საბჭოთა ოკუპაციურ არმიაში?

უკვე მრავალმა შეიგნო, რომ საქართველოში მცხოვრებმა წვევამდელებმა მარტოოდენ საქართველოში უნდა გაიარონ სამხედრო სამსახური. პროპაგანდისტები არის საჭირო იმის მისახვედრად, თუ როგორ შეხვდება შემოდგომაზე ახალგაზრდობა ჩვენში მორიგ გაწვევას. აგერ მაის-ივნისის საპროტესტო აქცია მასთან მოსალოდნელი იქნება.

საერთოდ, ასეთი ტენდენცია შეიმჩნევა მთელს რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც ეროვნული მოძრაობა აღმავლობის გზას ადგას და ხალხი იბრძვის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის (ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, მოლდავეთი და სხვ.).

ლატვიის სახალხო ფრონტის გაზეთ "ატმოდაში" 11 სექტემბერს დაიბეჭდა წერილი "ფიქრები ჟენევის კონვენციის 51-ე პუნქტის შესახებ". სტატიის ავტორი ივეტა ზუიკე იმ პრობლემას ეხება, რომელიც ჩვენ აგრერიგად გვაწუხებს, კერძოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლას (კი, მაგრამ, ვინ დაგვავალდებულა ასე მწარედ) და მასთან დაკავშირებულ საშიშროებას ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ზემოთ აღნიშნულ ახსნა-განმარტებითი ბარათიდანაც კარგად ჩანს, რომ საშიშროება მართლაც რეალურია. ამის დასტურია ეს გრძელი დაუმთავრებელი სია "პატრიოტული" და "ინტერნაციონალური" ვალის მომხდელებისა.

აქვე გვინდა დავამატოთ სია, რომელსაც გვთავაზობს ივეტა ზუიკე:

იურის კლიავენიკესი – მოკლული
რაიტის მურმუსინცკისი – მოკლული
აინარ რეინისი – თვითმკვლელობა (?)
იგორ გუბერსკისი – თვითმკვლელობა (?)
მარტინშ სვილასი – თვითმკვლელობა (?)
ნაზიმ ხიჩკაროვი – თვითმკვლელობა (?)
ინტას ოზოლსი – თვითმკვლელობა (?)

კითხვის ნიშანი, როგორც ავტორი აღნიშნავს, იმიტომაა დასმული, რომ მშობლებმა არ იციან მიზეზი სიკვდილისა ან ეჭვი ეპარებათ მასში.

ამ შემზარავი ცნობების შემდეგ არამგონია ვინმე კიდევ ორჭოფობდეს საჭიროა თუ არა, რომ ყველა წვევამდელმა სამხედრო სამსახური თავის რესპუბლიკაში გაიაროს.

ზემოთ აღნიშნული სტატიის რედაქციის მინაწერში ვკითხულობთ: "ვთვლით, რომ მოვიდა დრო შევკრიბოთ ყველა მასალები და მოვთხოვოთ პასუხი ყველა უპასუხისმგებლო პირს. ჩვენთვის ცნობილია, რომ ცალკეული პირები და ჯგუფები აგროვებენ ასეთ მასალებს. თუ თქვენთვის ცნობილია მსგავსი შემთხვევები არმიაში მოდით ჩვენთან. შეგვატყობინეთ – უნდა ვიმოქმედოთ ერთად".

დიახ, უნდა ვიმოქმედოთ ერთად.

## სტრიპტიზი ჟურნალისტი

დაცარიელდა რუსეთის სოფლები და მიწა-წყალი, რადგან რუსები შეიჭრნენ როგორც ყაზახისტანში, ასევე ყირგიზეთსა და ბალტიისპირეთში. ეს რუსობა ყველაზე მეტს გაჰკივის სამშობლოზე და თავის მიწის ერთგულებაზე. თავად კი მიატოვა მშობლიური ადგილები და დაეხეტება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

სამშობლო იქ არის, სადაც შენ დაიბადე.

მე მგონია, ყვირილი იმისთვისაა საჭირო, რათა რუსები დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ ადგილებს და ააღადგინონ იგი.

მ. სარდიუკოვი

ქ. კოვროვი
ვლადიმირის ოლქი

აი, იმპერიალისტურ სულისკვეთებას მოკლებული, გონებით დაუნჯებული რუსის ლაღადისი. საუბედუროდ ასეთები ერთეულები არიან. დროა ჩვენც მოვიხმოთ იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში გადახვეწილი ქართველობა. არც ერთი ქართველი რუსეთს, სადაც მძვინვარებს ანტიქართული პროპაგანდა, სადაც პრესისა და ტელევიზიის მიერ დათესილმა ღვარძლმა ქართველების წინააღმდეგ განაწყო თვალდაბნელებული მასა. როგორც არასოდეს, დღეს თითოეული ქართველის დაბრუნება უძვირფასესი განძის შეძენაა დემოგრაფიული კრიზისისაგან გულგატეხილ საქართველოში.

აფსუა სეპარატისტების უკანასკნელი გამოსვლა, ანუ შეიარაღებული თავდასხმა, მზადდებოდა თანდათან, თანმიმდევრულად. მათი შეიარაღების შესახებ ასე თუ ისე უწყოდა ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ. მაგრამ საუბედუროდ შესაბამის ზომებს არ მიმართავდა, რადგან ცალკერძ არ სჯეროდა ეგოდენ გათავხედება აფსუებისა, მეორეს მხრივ კი ჯერ არ იყო იმდენად გაღვიძებული ეროვნული შეგნებით და აქტიური ქმედების სურვილით გამსჭვალული, რათა საკადრისად დახვედროდა მათ უტიფარ გამოხდომებს.

ეროვნულმა შეგნებამ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობაში საკმარისი დონით რამოდენიმე თვის წინათ თუ გამოიღვიძა. მაგრამ ეს დრო კმაროდა იმისთვის, რათა ისინი შეიარაღებულ თავდამსხმელებს იმავე საშუალებით, ანუ იარაღით ხელში დახვედროდნენ და ასე დაეცვათ საკუთარი ოჯახისა და რაც მთავარია, საქართველოს ღირსება მის მუდამ განუყოფელ ნაწილში – აფხაზეთში.

ამჟამად გაწვდით მასალას, რომელშიც იგრძნობა, თუ როგორ თანდათანობით მზადდებოდა უკანასკნელი მოვლენები.

## "ინციდენტი" ანუ თავდასხმა

19 ივნისს, ქ. სოხუმის XV პარტყრილობის სახელობის ტურისტულ ბაზაში თავს დაესხნენ პლიაჟის გამგეს აფრასიძეს.

18 ივნისს ტურბაზის ტერიტორიაზე ძალით ცდილობდა შესვლას ორი მთვრალი ახალგაზრდა აფსუა. დარაჯმა და აფრასიძემ ეს ხულიგნები ტურბაზის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. მეორე დღეს, საღამოს 6 საათზე, ტურბაზას მოადგა 60 კაცი. მათ შორის მილიციის ოფიცერი იყო. მან აფრასიძე გაიძახა გარეთ, ფიზიკური ძალის გამოყენებით შეაგდეს მანქანაში. აფრასიძემ შეძლო თავდამსხმელებს დასხლტომოდა და ტურბაზის ტერიტორიაზე შესულა, მაგრამ ბრბო დაედევნა, დაიჭირეს და სასტიკად სცემეს, მილიცია მოვიდა,, არავინ დაუჭერიათ. ეს თავდასხმა ჩათვალეს ბიჭების ჩხუბად, რომლებიც გასართობად არ შეუშვეს ტურბაზის ტერიტორიაზე. გამოძიებას არაფერი შეუძლია და ბარკალია მეტად ტენდენციურად.

ცნობისათვის: ტურბაზაში გამოცხადებულია ქართული ეროვნული სულის თავდასხმაც დამნებების, მურისძიების მიზნით მიხდა.

მესამე წელია აფხაზეთში ცხოვრობს დამწვარი სვანების 100 ოჯახი, რომლებიც საკარმიდამო ნაკვეთებს ამაოდ ითხოვენ. აფსუები სასტიკად ეწინააღმდეგებიან ქართველთა აფხაზეთში დასახლებას, მაშინ როდესაც სომხებს, რუსებს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს სიხარულით ურიგებენ ქართულ მიწებს.

ქ. სოხუმი
21. 06. 89წ.

## ორიოდე სიტყვა – "საბჭოთა აფხაზეთი" და "სოვეტსკაია აბხაზია"

აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს გაზეთ "საბჭოთა აფხაზეთის" რედაქტორის თ. ჩიჩიას პოზიცია. გაზეთი არ აშუქებს აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართულ მოვლენებს, არ იმაღლებს ხმას ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ, ფარდას არ ხდის აფსუა ექსტრემისტების ბნელ ზრახვებს. გაზეთი უსიტყვოდ ემორჩილება საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობას.

საზოგადოება მოითხოვს რედაქტორის გადადგომას.

X-----X-----X-----X

გაზეთ "სოვეტსკაია აბხაზიას" რედაქტორი თ. ტაია დიდი ენერგიით და მონდომებით ემსახურება ერთვნებათა შუღლის გაღვივებას. გაზეთი სისტემატიურად ბეჭდავს ანტიქართულ მასალას, აყალბებს ისტორიას, ცილს სწამებს ქართველ მეცნიერებს, აფსუა მოსახლეობას უ[...] ტავს ქართველებისადმი მტრობის გრძნობას.

– ცნობები აფხაზეთიდან –

საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის რექტორმა სოფელ პლას[...] კამი მიავლინა ორი დეკანი, ისინი აგიტაციას გაუწევენ სოფელ [...] ტუწყის აბიტურიენტებს, რათა მისაღები გამოცდები ჩააბარონ ჩვენ[...] ინსტიტუტის შესაბამის სექტორზე /ქართული, რუსული/.

X-----X-----X-----X

ჩვენ გაიგეთ, რომ ლენინგრადის ქართველი მოსახლეობა /1200 კაცი საცხოვრებლად ბრუნდება სამშობლოში. კარგი იქნება, თუ ის[...] ბინებს გადაცვლიან ქ. სოხუმში, აქ არის ბინის გაცვლის მსურველ[...] ბევრი რუსი მოქალაქე.

X-----X-----X-----X

1989წლის 25 ივნისს ქ. გაგრაში ქალაქკომის შენობის წინ მ[...] მოშიმშილეთა გაფიცვა. ამ აქციის შესახებ განაცხადი წარდგენილ[...] ქ. გაგრის ქალაქკომში.

## 9 აპრილი

კვნესოდნენ ძველი ქუჩები
ტანკებით დალეწილები
ტანკებში რუხი დინგები
მძულვარედ დაღმეჭილები.
ჯარები ხალხთან საომრად
იარაღასხმულები
სახეში შემზარებული
სულისმხუთავი შხამები
თავების დასაჩეჩქვავად
ხელკეტები და ფარები
ქვეყნის ლაჩარი მთავრობა
იმ ფარებს მოფარებული
სანგრის სათხრელი ბარები
საკლავად ალესილები
მხეცები ადამიანზე
მის სისხლზე დაგეშილები
საბჭოთა ჯარისკაცები
საყლეტად გაგეშილები
მუშტის ამარა ბიჭები
უწყალოდ დარეხილები
თავისუფლების ბარტყები
ახალი დაფრენილები
უგნურად არაფრთხილები
ახლახან ფრთაგაშლილები
ჩვენი მოხუცი ქალები
ჩვენი უმწეო შვილები
მეხდაცემული დედები
თვალგამშრალ-თმაგაშლილები
მამები ცოცხლად გვამები
ბოლმით პირჩათეთქვილები...

X X X

გავა დრო აღარ იქნება
არაკაცების ბანაკი
ველარ გაწვდება ყველა ხალხს
კაცისმკვლელების მარაგი
დახსნილ სამშობლოს მთებიდან
წყალს ჩამოატანს არაგვი
ყოველ წელს, ყოველ ცხრა აპრილს
მკვდრეთით აღდგება არაკი
ითქმება ცეკვა-სიმღერით
როგორ დაეცა ხვარაკი
გამოვლენ მათი სულები
გაწმენდილი განანათლები
იმ ღამის ამბავს იტყვიან
ღმერთთან და კაცთან მართლები
ლოცვად დადგება ქართველი
ალაპლაპებენ სანთლებს.

რუსლან მიქაბერიძე

სარედაქციო კოლეგია: მ. კოსტავა
ი. წერეთელი
ი. ბათიაშვილი
თ. კუბლაშვილი
მ. კვარაცხელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა და გაზეთ "ივერიის" რედაქცია გილოცავთ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წალენჯიხის განყოფილების წევრებს გაზეთ "გორჯის" პირველი ნომრის გამოსვლას.

იმედი გვაქვს, ეს გაზეთი თქვენი სულიერი სიმტკიცის, დიდი ილიას გზისადმი თქვენი ერთგულების მაჩვენებელი და ამსახველი იქნება.

ამ სასიხარულო მოვლენას მწუხარების შავი ჩრდილიც თან ახლავს, - პირველივე ნომერში ჩვენს მკირფას ზურაბ ჭავჭავაძეს ეთხოვებით.

ამ წელს, ცხენის წელს, ჩვენი ზურაბი თეთრ ცხენზე ამხედრებული შეეგება... იქნებ ეს სიმბოლურიცაა...

დაე, ეს წელი დიდი ილიას გზის გამარჯვებისა იყოს, ჩვენი სულნათელი ზურაბის გზის გამარჯვებისა იყოს!..

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა; გაზ. "ივერიის" რედაქცია.



წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია

## გონივრულად ვმართოთ პროცესები

დღეს საქართველოში უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობაა შექმნილი. ამის დადასტურებას განსაკუთრებული განსჯა-ანალიზი არ ესაჭიროება, თუ საღად შევაფასებთ ცხოვრების სინამდვილეს.

მოვლენათა სიმძაფრე მწვავე კამათის საფუძველი ხდება ადამიანებს შორის, აზრთა ჭიდილში და წინააღმდეგობაში ისახება მომავალი საქართველოს გზები.

ბუნებრივია, ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. იგი აღსავსეა ახალი ეპოქის დაბადებისათვის დამახასიათებელი ტკივილებით.

აი, ასეთ პირობებში ტარდება ჩვენს რესპუბლიკაში უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა არჩევნების კამპანია. ამ ღონისძიების პოლიტიკურ მნიშვნელობას ჩვენს სინამდვილეში ერთნაირი შეფასება არ ეძლევა როგორც საერთო საზოგადოების, ასევე თვით ეროვნული მოძრაობის მხრიდან. ნაწილი ამ მოძრაობის წარმომადგენლებისა უარყოფს და ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს, ნაწილი კი მიზანშეწონილად მიიჩნევს მასში მონაწილეობის მიღებას. უნდა ითქვას, მოცემულ ეტაპზე ორივე მოსაზრებას აქვს გარკვეული საფუძველი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ არც ამ მოვლენის ცალსახად შეფასება იქნება საქმისათვის სასარგებლო. ამიტომ უფრო მართებულია, ბოიკოტთან ერთად პარლამენტისაკენ სავალი გზაც ეროვნული მოძრაობის ძალთა ნაწილმა დაიკავოს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ პარლამენტარული ბრძოლის ფორმას ჩვენში ჯერ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები.

საკავშირო უმაღლესი საბჭოს ყრილობამ პრაქტიკულად დაგვანახა, თუ როგორ გადაწონა სასწორი რიცხობრივმა უთანასწორობამ, მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის სასარგებლოდ.

ჩვენს პირობებში იმაზეც ბევრი რამაა დამოკიდებული, მხოლოდ ქუჩიდან მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას, თუ რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს დონეზე. ვფიქრობთ, ამას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, როგორც საკავშირო მთავრობის, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტანციების წინაშე.

ამჟამად წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა ცხადყოფს, რომ ეროვნული მოძრაობისათვის სასურველი კანდიდატების გაყვანა არც ისე ადვილია. ოფიციოზი საკმაოდ ფხიზლად აკონტროლებს სიტუაციას, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენთვის სულერთი არ უნდა იყოს, თუ რა პოზიციის ადამიანები შეავსებენ საქართველოს დეპუტაციას უზენაეს საბჭოში.

არჩევნებმა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობისათვის სასურველი შედეგი რომ გამოიღოს, აუცილებელია ამომრჩევლებთან ურთიერთობის გათვალისწინება. რადგანაც, სწორედ მათმა პოლიტიკურმა შეგნებამ და შედეგებმა უნდა განსაზღვროს, თუ ვის გაეხსნება გზა პარლამენტისაკენ.

ამომრჩეველთა მდგომარეობა კი არც ისე ადვილია, რესპუბლიკაში შექმნილ რთულ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ. ჩვენში ეხლა ყველა, დიდიან-პატარიანად, ეროვნული მოძრაობის ქურქშია გახვეული. არ არსებობს ფორმალი-არაფორმალი, ძველი-ახალი. ლოზუნგები, რისთვისაც ადამიანებს ორიოდე წლის წინათ ციხეებში და გადასახლებებში ერეკებოდნენ, თვით ხელისუფლების პოლიტიკური პლატფორმის შემადგენელი ნაწილი გახდა. ამ დროს კი როგორ გინდა გაარჩიო ერთმანეთისაგან ყალბი და მართალი პოზიცია, ცრუ და სწორი სიტყვა.

ასეთ პირობებში მართებული იქნება შემუშავდეს საზოგადოებაში გარკვეული კრიტერიუმები, რომელიც დაეხმარება მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში.

პირველ რიგში, ყველას უნდა ავუხსნათ, რომ, თუ ჩვენ მართლა გვსურს ტოტალიტარული რეჟიმის უარყოფა (ისე, რომ აქაც არ განმეორდეს რუმინეთის გაკვეთილი), პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება, აუცილებელია წარმოვაჩინოთ ის მთავარი მიზეზები, რომელსაც ეფუძნება ჩვენთვის მიუღებელი სინამდვილე. თუ ამ მოსაზრებას მივყვებით, აუცილებლად მოგვიწევს თვით სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების უარყოფა.

მეორე მომენტი, რაც აუცილებლად უკავშირდება ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლების მიღწევას, არის პარტიის პოლიტიკური მონოპოლიის აუცილებელი უარყოფა. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ერთპარტიული სისტემის შენარჩუნების პირობებში, როცა საქართველოს კპ წარმოადგენს სკკპ ნაწილს, ადგილობრივი ხელისუფლება ვერ განთავისუფლდება ცენტრის დიქტატისაგან, მაშასადამე, იგი ვერ გამოვა ერის ინტერესების ჭეშმარიტ დამცველად.

ამასთან, ერთპარტიულობა უარყოფს სახელმწიფოს პარლამენტარულ მმართველობას, როგორც მმართველობის ერთ-ერთ პროგრესულ ფორმას, რაზედაც პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი მომავალი სახელმწიფოებრივი არსებობის ბედი. ყოველივე აქედან გამომდინარე, ამომრჩევლებმა უნდა გააკეთონ შემდეგი დასკვნა: კერძოდ, ის, ვინც აღნიშნული საკითხების ამ სახით დაყენების წინააღმდეგია, იგი მხოლოდ სიტყვიერად ეთანხმება დამოუკიდებლობას და ჭეშმარიტ დემოკრატიას.

ჩვენში ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებია გაბატონებული იმის შესახებ, თუ რამდენად დროულია ეროვნული მოძრაობის მიერ წამოყენებული საკითხები სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის თაობაზე.

ადამიართა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ჯერ არა ვართ მომზადებული დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის, რომ ჯერ მოსაგვარებელია მთელი რიგი ეკონომიკური და სოციალური ხასიათის საკითხები. ყოველივე ამას ვერავინ ვერ უარყოფს, პრობლემები მართლაც თავსაყრელი გვაქვს, მაგრამ იგი არ შეიძლება გადაწყდეს არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურის ჩარჩოებში. ეს რომ შესაძლებელი იყოს, საბრძოლო და თავსატეხი მაშინ არაფერი გვექნებოდა. ე.ი. იმის თქმა, რომ ჯერ ეს საკითხები მოვაგვაროთ და მერე ეროვნული თავისუფლების საქმესაც მივხედოთ, არ იქნებოდა სწორი. პირიქით, ჩვენ გამოსავალი იმაში უნდა ვნახოთ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას შევხედოთ, როგორც პროცესს, რომელმაც მოძრაობაში უნდა დაბადოს შედეგი. რა თქმა უნდა, ამ აზრში არ იგულისხმება მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად ქუჩაში გასვლა და მასობრივი მიტინგების მოწყობა. მთავარია, ყველამ თავისი საქმიანობა ერთ იდეას - ერის განთავისუფლებას დაუმორჩილოს; მეცნიერი, ხელოვანი, რიგითი ადამიანი თუ ამ პრინციპით იღვწება, იგი უდავოდ პატივისცემას იმსახურებს; რაც შეეხება მიტინგებს, ან კიდევ იმ ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ დგანან მოძრაობის სათავეებთან, მათ მიმართ უნდა გვახსოვდეს, ისინი ქუჩაში სწორედ იმიტომ გავიდნენ, რომ ხელოვანს არ შეეძლო ეწერა, რასაც ფიქრობდა, მეცნიერს ეთქვა ის, რაც მას ჭეშმარიტად მიაჩნდა, უბრალო ადამიანებს კი პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული. და დღეს ისინი რომ იქ დგანან, ამიტომაც გახდა შესაძლებელი დიქტატურის არტახებისაგან გარკვეულწილად თავის განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭეშმარიტ მეცნიერსა და ხელოვანს თვით მოუწევდა ქუჩაში გასვლა. ეხლა კი ფაქტიურად ძალები განაწილებულია, და ორივე მხარე ერთმანეთს ავსებს.

მთავარია გონივრულად და ურთიერთნდობით ვმართოთ ეს პროცესები. ეხლა ბევრს ლაპარაკობენ ჩვენთან იმის თაობაზე, რომ განვიცდით კადრების დეფიციტს, რომ კადრების დაბალმა დონემ დაღუპა ქვეყანა. პირდაპირ უნდა ითქვას, საბჭოთა სისტემას ჰყავდა ზუსტად ის კადრები, რომელზედაც იყო მოთხოვნა ჩვენს სინამდვილეში. არც ერთ განვითარებულ სახელმწიფოებს, ერთად აღებულს, არ ეყოლება მიწერებისა და მარცხენა ოპერაციის ისეთი ოსტატები, როგორებიც ჩვენთან არიან. რადგანაც, მისი არსებობის ეკონომიური და პოლიტიკური საფუძველი სწორედ აქ არის, ჩვენთან. ამიტომ მთელი ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტებს თავი რომ საბჭოეთში მოუყაროთ არსებული სისტემის პირობებში, ისინი ვერაფერს გახდებიან. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კადრების დეფიციტმა კი არ დაღუპა საქართველო, არამედ საბჭოთა ხელისუფლებამ.

ტყუილად ხსნიან ჩვენი ეკონომიკის ჩავარდნას ზოგიერთები ქართველი კაცის სიზარმაცით, ამ პრინციპით თუ ვიმსჯელებთ, იგივე იარლიყი უნდა მივაკეროთ მთელს კავშირს და არა მხოლოდ მას, არამედ საერთოდ სოციალისტურ ბანაკსაც, რასაც, რა თქმა უნდა, არ იმსახურებენ ეს ხალხები. ერთი სიტყვით, მსგავსი არგუმენტებით შექმნილი მდგომარეობის ახსნა არა მარტო მეცნიერულად უარსაყოფი, არამედ არამორალურიც არის.

უნდა ვაღიაროთ, რომ ეკონომიკას თავისი კანონები აქვს და მას ვერ შევცვლით პლაკატებითა და ლოზუნგებით. ეს პრაქტიკით დადასტურებული ჭეშმარიტებაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან თუ გამოვალთ, დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიზმი და რთული ხასიათი საკმაოდ აძნელებს მყარი პოზიციის შერჩევას, მაგრამ, ვფიქრობ, სიმართლის წადილი და გონიერება მაინც იტყვის თავის სიტყვას, მისცემს ადამიანებს უნარს, მიიღონ გადაწყვეტილება სამართლიანობისა და თავისუფლების სასარგებლოდ.

ზურაბ გურჩუა
ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წალენჯიხის განყოფილების გამგეობის წევრი

სარედაქციო კოლეგია: ზურაბ გურჩუა (ტ. 32-48), ვახტანგ კალანდია (ტ. 31-29), ლუარა ლაგვილავა, სოსო ჟვანია (ტ. 29-28).
მხატვარი ანზორ კვარაცხელია (ტ. 21-15).



# ერთიანი საქართველო

[illegible]

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

9 აპრილი!

## „ქართველები ადვილად არაფერს ივიწყებენ!..“

### მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ო

### დ ა ნ ო  დ ა  ძ მ ა ნ ო !

[illegible] ობლებისგან მოწყვეტა ადამიანებისა? რა საჭიროა მისთვის სხვა სატანჯველთა მიმატება, განსაკუთრებით იმგვარის, როგორიცაა ჩვენი ფიქრის და ოცნების საგნისგან, საქართველოსაგან მისი მოწყვეტა. და ან ვისა აქვს უფლება საფიცართაგან უზენაესი, საკუთარი სამშობლო წარსტაცოს ადამიანს?

მიუხედავად ამისა, სწორედ არაფორმალურ ორგანიზაციათა მიერ წამოყენებული აღნიშნული მოთხოვნის შემდეგ გააუქმა ხელისუფლებამ რამოდენიმე კოლონია საქართველოში და მრავალი პატიმარი რუსეთს გაუყენა, სადაც ამ ბოლო ხანებში საბჭოთა პრესაში და ტელევიზიაში გაჩაღებული ანტიქართული შოვინისტური კამპანიის გამო ქართველებისადმი უმართებულო სიძულვილი მძვინვარებს. ამიტომაც გულგრილად ვერ შევხვდებით ამ აშკარად იმპერიალისტურ ღონისძიებას. ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ ყველა ქართველი პატიმრის დაუყოვნებლივ საქართველოში დაბრუნებას, და არა მარტოოდენ ქართველისას. საქართველოში მცხოვრებმა სისხლის სამართლის ნებისმიერმა დამნაშავემ, ქართველმაც და არაქართველმაც, მხოლოდ საქართველოში უნდა მოიხადოს სასჯელი. ჩვენ ვიბრძოდით და მუდამ ვიბრძოლებთ პატიმრების უფლებებისათვის, პატიმრობის ადგილებში მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამიტომაც დაბეჯითებით მოვითხოვთ: დაუბრუნოთ სიყვარულის უფლება პატიმრებს, რაც გამოიხატება მათთვის ახლობლებთან პაემანთა რაოდენობის გაზრდაში. გული უფრო გულობს, ოდეს თვალი თვალს ხედავს. და სადაც გული გულობს, იქაა ადამიანობაც, ოჯახის სიმტკიცეც და ამ სიმტკიციდან გამომდინარე ერის ძლიერებაც. პარადოქსია, მაგრამ სტალინის ეპოქაში, ანუ 40–50 - იან წლებში უფრო ჰუმანურად ეპყრობოდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ვინაიდან პატიმრობის ადგილებში კვირაში ერთხელ მაინც აძლევდნენ მათ ახლობლებთან პეხვედრისა და ამანათის მიღების უფლებას. გამოდის: ამჟამად პაემანთა მინიმალური სიმცირის გამო მარტოოდენ პატიმრები როდი ისჯებიან, არამედ მათი ახლობლებიც, თავისუფალი და უდანაშაულო ადამიანები. მათ ხელ-ფეხი ებორკებათ, რამეთუ წართმეული აქვთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ახლობელზე ზრუნვის უფლება. ამან კი თანდათანობით შესაძლოა გულგრილობა გააღვივოს, რასაც ათასი გაუთვალისწინებელი უბედურება და თვით ოჯახების დაშლაც კი შეიძლება მოჰყვეს. თავის მხრივ ახლობელთაგან მიუხედავმა და ამით სკუგამწარებულმა, გაბოროტებულმა პატიმარმა შესაძლოა სხვსებით აიღოს ხელი თვითკონტროლზე და უფრო მეტად გადაეშვას ცოდვათა მორევში. ამიტომაც ვგმობთ საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსის იმ უსულგულო კანონებს პატიმრების მიმართ, ახლობლებს შორის სიყვარულის ამოძირკვის, ადამიანების პირუტყვად გადაქცევის, გარე სამყაროსაგან მათი გარდამეტებული იზოლაციის და ამით მთლიანისაგან ნაწილის მოწყვეტის სამარცხვინო მცდელობას რომ განაპირობებენ.

ჩვენი წმიდათა-წმიდა მოვალეობაა წინ აღვუდგეთ ამ აშკარად ანტიჰუმანურ მოვლენას, არ დავუშვათ ეგოდენ უკიდურესი იზოლაციით ადამიანთა ნაწილის გაწირვა. "პატიმართა მოხედვის", ანუ მოყვასთა თანადგომის ეს ღირსადშესარაცხი ცხოვრებისეული პრაქტიკა მთლიანად საზოგადოებრიობის ხელში უნდა გადავიდეს, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ქველმოქმედებით გამოხატული.

ამიტომაც საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი მოგიწოდებთ, მიიღოთ აქტიური მონაწილეობა საქართველოს საპყრობილეებში მოთავსებული პატიმრების ქმედების აქციაში, რომელიც წელიწადში ოთხჯერ ის ჩატარდება და დაემთხვევა რელიგიურ დღესასწაულებს: შობას, აღდგომას, პეტრე-პავლობას და მარიამობას.

მარიამობასთან (28 აგვისტოს) დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის მიერ დაგეგმილი საქველმოქმედო აქცია მოეწყობა ოდნავ მოგვიანებით, ამა წლის 10 სექტემბერს. კომიტეტი მოუწოდებს ყველა ქრისტიანსა და ჭეშმარიტ მოქალაქეს საქართველოში შეძლებისდაგვარად მოამზადოს ამანათი (სურსათ-სანოვაგე), შეაგროვოს წიგნები და შეიკრიბოს წინასწარდათქმულ ადგილებზე ქ. თბილისში, ქუთაისში, ხონში, გეგუთსა და ქსანში, რათა მრავალრიცხოვანი მსვლელობით და ტრანსპარანტებით ხელში მიადგეს იქ არსებულ ციხეებსა და კოლონიებს და დაითანხმოს საპატიმროთა ადმინისტრაცია ამანათებისა და წიგნების გადაცემაში, რასაც უნდა დაესწროს დემონსტრანტთაგან შეგზავნილი წარმომადგენლობა.

თბილისელები, 9 სექტემბერს დილის 11 საათზე შეიკრიბებიან რუსთაველის მოედანზე არსებულ კინოს სახლთან, გაემართებიან თბილისის ციხეში, ციხესთან არსებულ კოლონიაში, ქალთა, ავშალის მცირეწლოვანთა და სრულწლოვანთა კოლონიებში; შესაბამისად იგივეს მოიმოქმედებენ რუსთაველები რუსთავში, ქუთაისელები, სამტრედიელები, ხონელები, მარტვილელები და სხვები ქუთაისში, ხონსა და გეგუთში, გორელები, რუის-ურბნისელები, კასპელები, მცხეთელები, ხაშურელები და სხვანი ქსანში; არც ერთი ერთი საპატიმრო, ციხე თუ კოლონია არ უნდა დარჩეს იმ დღეს მიუკითხავი; ერთიანად უნდა აღდგეს პატიმრებისადმი რევოლუციამდე არსებული ქრისტიანული ქველმოქმედების უფლება; მსვლელობათა ძირეული ლოზუნგები ტრანსპარანტებზე უნდა იყოს შემდეგი:

1. გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ერთიან, დემოკრატიულ, ქრისტიანულ



საქართველოს;

2. საქართველოში მცხოვრებმა პატიმრებმა მხოლოდ საქართველოში უნდა მოიხადონ სასჯელი;
3. დაუყოვნებლივ იქნან დაბრუნებული საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანილი პატიმრები;
4. დაუბრუნოთ პატიმრებს სიყვარულის უფლება;
5. გაეუზარდოთ პატიმრებს ახლობლებთან პაემანისა და ამანათის მიღების რაოდენობა;
6. შეწყდეს პატიმართა უფლებების დარღვევა და ღირსების ხელყოფა;
7. გაუმჯობესდეს პატიმართა მდგომარეობა პატიმრობის ადგილებში;
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible] საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანისა.

ღმერთი არს ჩვენთან!

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის სახელით

[illegible]

30.08.89 წელი

ქ. თბილისი

ამა წლის 10 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა დაპირებისამებრ განახორციელა აქცია, "პატიმართა მოხედვას", ანუ მათ მიმართ ოქტომბრის რევოლუციამდე არსებული ქრისტიანული ქველმოქმედების აღდგენას რომ ჰგულისხმობდა. წმინდა ილია მართლის საზოგადოების წინამძღოლობით, ტრანსპარანტებითა და ეროვნული დროშებით ხელში, ამანათებით დატვირთული ქართველი საზოგადოებრიობა შეესია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ციხეებსა და კოლონიებს. ასე რომ არცერთი მათგანი არ დარჩენილა იმ დღეს მიუკითხავი. საპატიმროთა ადმინისტრაციას ამანათების გადაცემასა და პატიმრებთან შეხვედრაზე უარი არ განუცხადებია.

აღნიშნულმა აქციამ და პატიმრებთან კონტაქტმა კიდევ უფრო გაზარდა წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრებში სურვილი პატიმრებისადმი თანადგომისა. ამ შეხვედრებმა კიდევ უფრო გააღრმავა აზრი იმის შესახებ, რომ დაუშვებელია განსჯა მოყვასისა, ცოდვისა და ბოროტმოქმედების მარტოოდენ საპყრობილეთა მკვიდრთათვის მიწერა, რადგან არავინ უწყის, თუ ვინ იქნება ხვალ პატიმარი, რამეთუ პოტენციური ბოროტმოქმედების გარკვეული ოდენობა თითქმის ნებისმიერ ადამიანში ძევს.

და ვის შეუცვნია თავი თვისი ბოლომდე? ცოდვით დაცემის შემდეგ, ბოროტება რომ განვიდეს შენგან, ჯერ უნდა მიაკვლიო საკუთარ თავში, ხოლო შემდეგ კი დრაკონის შემმუსვრელი წმინდა გიორგივით შეებრძოლო მას.

კოლონიებისა და ციხეების მონახულების შემდეგად წმინდა ილია მართლის საზოგადოების წიაღში შემდეგი გეგმები დაისახა:

1. ახლო მომავალში შეიქმნას საქართველოს საზღვრებს გარეთ გადასახლებულ პატიმართა ახლობლებისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელიც ჩაატარებს საპროტესტო აქციებს საქართველოში მათი დაბრუნების მოთხოვნით.
2. უნდა მოვითხოვოთ საქართველოს ხელისუფლებას დამოუკიდებელ ამნისტიათა გამოცხადება საქართველოს ეგრეთწოდებული რესპუბლიკის ფარგლებში.
3. მოვთხოვოთ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დასვას საკითხი ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში მოთავსებული 30-ვე პატიმარის გასათავისუფლებლად, რათა ფეხი აღარ აღმართოს ზემოაღნიშნულ საპატიმროზე.
4. იმავე უწყებაში დაისვას საკითხი პატიმარ ქალთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. თბილისის ქალთა კოლონიაში 300-მდე პატიმარი ქალია. უნდა განთავისუფლდეს მათი 80–90%, რადგან ვერაფერი ვაჟკაცობაა ქალთა პატიმრობაში აყვანა. ლედი მაკბეტის მსგავს ბოროტმოქმედთა გამოკლებით მცირე, ან დიდი ჯარიმებით უნდა შემოიფარგლოს თითოეული მათგანის სასჯელი.
5. მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში, დემოგრაფიული გაჯანსაღების მიზნით შეიქმნას თავისუფალი, უზედამხედველო დასახლებები მიწის ნაკვეთის გამოყოფითა და საცხოვრებელი სახლების გადაცემით იმ ქართველ პატიმართაგან, რომელთაც მოიხადეს სასჯელის ორი მესამედი (ხომ შეიძლება დათვიდანვე ამდენი მიესაჯათ მათთვის), თუ თანახმანი იქნებიან საკუთარი ოჯახებით საცხოვრებლად იქ დარჩენაზე.
6. წამოყენებული იქნას მოთხოვნა პატიმართათვის სიყვარულის უფლების აღდგენასთან დაკავშირებით, ახლობლებთან პაემანთა რაოდენობის გაზრდას რომ ჰგულისხმობს. შესაბამისად გაიზარდოს პატიმრებისათვის ამანათის გადაცემისრაოდენობა.
7. წამოყენებული იქნას მოთხოვნა პატიმართათვის თმის ტარებისა და სამოქალაქო ტანსაცმელში სიარულის, აგრეთვე გამომუშავებული ფულით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად. აღკვეთილ იქნას დამამცირებელი სამ კერძე ნარწერებიანი ნიშნები.

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს თანამემამულეებს მომავალში უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ პატიმრებთან დაკავშირებული ქრისტიანული ქველმოქმედების აქციებში.

X X
X

მოხუცურის ქცევა არ მიკვირს
უჯიშო ნაბიჭვარია
მაგრამ ვინც ხალხის სადღეგრძელოდ
დამპყრობლის ჯარი ჩართა
ის რუსის ჩექმის საწმენდად
ფურთხით დასვრილი ჩვარია.

რუსლან მიქაბერიძე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

[illegible]

### ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ სამხედრო სამსახურს გავდივართ ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქ ლენინსკში.

მოგმართავთ ქ. ლენინსკში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი ქართველების სახელით. ქართველების მდგომარეობა აღნიშნულ ქალაქში 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ერთობ გაუარესდა. ქართველი ჯარისკაცები განიცდიან ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას მოსამსახურე ოფიცრებისა და კომენდანტურის მხრივ.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ მემოხსენებულ ადგილზე კომენდანტურაში ცემით იქნა მოკლული სამი ქართველი ჯარისკაცი. ეს ბედი ყველა იქ მოსამსახურე ქართველს მოელის. კომენდანტურაში მათ დაუნდობლად ექცევიან. სცემენ ბოროების დაკარგვამდე. შემდეგ კი თავს აყოფინებენ ტუალეტის ურნაში. სთხოვენ ფულს. ერთი დღე 100 მანეთი თუ გადაიხადეთ, ისე სადისტურად აღარ გვეპყრობიან. ზოგიერთ ოფიცრებიც გვცემენ, გვაყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას: " не навижу этраму тунеядцев "– ამბობენ. და კიდევ: " Мало вас убили 9 апреля. Много надо убивать".

ზემოთ აღნიშნულის შესახებ ვაცნობეთ ზემდგომ ორგანოებს. ჩამოვიდა საქართველოდან კომისია, შეეკრიბეთ ყველა იქ მოსამსახურე ქართველი ჯარისკაცი და დაწვრილებით გავაცანით საქმის ვითარება ნაწილში. ადგილობრივი ზემდგომი ორგანოები შეგვპირდნენ, რომ მომდგომში მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა. მაგრამ საქართველოს კომისიის წასვლისთანავე ჯარისად დაგვიწყეს შევიწროვება, არ გვაპატიეს სიმართლის თქმა. ამის შემდეგ მოსამსახურე ოფიცრები ქართველებს მაბეზღარებს / стукач/ გვიწოდებენ და ჯარისად გვეპყრობიან. იგივე მეორდება რაც ხდებოდა.

ზემოაღნიშნული ადგილიდან, საქართველოში ჩამოვედით 13 ქართველი ჯარისკაცი, რათა საქართველოს მთავრობას ვაცნობოთ რაც ხდება ქალაქ ლენინსკში.

იქ მოსამსახურე ყველა ქართველი ჯარისკაცის სახელით მოვითხოვთ დამნაშავე ოფიცრების დასჯას.

13 ქართველი ჯარისკაცი ქ. სოხუმში ჩამოვიდა. მათთვის უძქვამთ, იამოვთან წაგიყვანთო, მაგრამ საბოლოო შედეგი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

ქართველი ჯარისკაცების სახელით: მიქელაძე დავით ალექსანდრეს-ძე
ზურაბიანი გია ნოდარის-ძე
კაპანაძე ვალერი გერონტის-ძე

ამას წინათ საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში, ჩიტის ოლქიდან ჩამოასვენეს ჯარისკაცი გოჩა გაფრინდაშვილი, რომელიც ვერაგულად იქნა მოკლული სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნისას. ამაზომი ელექტრო გაყვანილობაზე მუშაობის დროს მას მოულოდნელად ჩაურთეს ქსელში ელ. დენი.

იგი დაასაფლავეს 27 ივლისს, მშობლიურ სოფელში.

რედაქციის შენიშვნა:

როგორც ვხედავთ საბჭოთა პრესაში და ტელევიზიაში წლების მანძილზე წარმოებულმა მიზნებულმა ანტიქართულმა პროპაგანდამ შედეგი გამოიღო. ველიკორუსული შოვინიზმის გესლმა სახიფათო გახადა ქართველების სამსახური რუსეთის საოკუპაციო არმიაში.

დროა გაირკვეს: ქართველმა წვევამდელებმა საქართველოში გაიარონ, თუ საერთოდ უარი თქვან რუსეთის საოკუპაციო არმიაში სამსახურზე, არმიაში, იმპერიის არსებობის და საბჭოეთში მცხოვრები ერების დამონებულ მდგომარეობას რომ ახანგრძლივებს.

### მიეძღვნა ეროვნული გმირის ხსოვნას

14 ივლისს, პარასკევს, ახმეტის რაიონის სოფელ მატანში ქართველმა პატრიოტებმა იხსენიეს ლეგენდარული გმირის, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდის ქაიხოსრო /ქაქუცა/ ჩოლოყაშვილის დაბადების 101 წლისთავი. დიდი ხალხი მატანის უძლეველ [illegible] ირის მაღალი გალავანით დაცულ ეზოს ძველი ხალხმრავლობა არ ახსოვს. ორატორებმა ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, ირაკლი წერეთელმა, გურამ მარაძემ და სხვებმა ისაუბრეს ქართველი ერის წინაშე ქაქუცა ჩოლოყაშვილის დამსახურებაზე.

ზეიმი დასრულდა სიმღერებით. დიდხანს ისმოდა "მაველეგო", "ქართველი ბედი ხმალს იკარ", "დაჯკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს" და სხვა სულის შემძვრელი სიმღერების მელოდიები. ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულს განსაკუთრებული სითბო და ერთიერთობა მიანიჭეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათესავებმა, მისი ქალიშვილის ქალბატონ ქეთევანის ზეიმზე ყოფნამ.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების ინიციატივით ჩატარებულ ამ, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ აქციას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მან ხელი შეუწყო მთელ ქართულ მებრძოლ სულის გამოღვიძებას, ერის კონსოლიდაციასა და ხალხში პატრიოტული გრძნობების გაძლიერებას.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის მსგავსი გმირები საქართველოს კიდევ კვლავ ჰყავს. ვფიქრობთ, საჭიროა აღდგეს ამ გმირთა უსამართლოდ მივიწყებული სახელები და დაწესდეს მათი ხსოვნის დღე.

დაე, ჩვენი სახელოვანი წინაპრების გმირული საქმეები ავალდებულებდეს საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდობას!